ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 219

“ 8 ” სექტემბერი 2020 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში არსებული 1089 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.17.02.059.292) სსიპ - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/ნ:204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 118[1] მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული„ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის“ პირველი მუხლის მე-3 პუნქტისა და მე-2 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, “ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში მდებარე 1089 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.17.02.059.292) სსიპ - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/კ: 204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 29 ივლისის №20.811.1011 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში მდებარე 1089 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.17.02.059.292) სსიპ-საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით სიმბოლურ ფასად, 1 (ერთი) ლარად პრივატიზებაზე, სსიპ - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/კ: 204395537) გასაფორმებელი ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით გათვალისწინებული ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

ხელშეკრულება

უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ

ქ. თბილისი ----------2020 წ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 118[1] მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის *[●]* განკარგულების და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს *[●]* განკარგულების საფუძველზე, ჩვენ, ხელშეკრულების მხარეები:

ერთი მხრივ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პური - ქონების მართვის სააგენტო (შემდგომში „სააგენტო“), მისამართი: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7, წარმოდგენილი *[●]*, მიერ, პ/ნ *[●]* და

მეორე მხრივ, საჯარო სამართლის იურიდიული პური საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია (ს/ნ:204395537) (შემდგომში - „ქონების შემძენი“), მისამართი: ქალაქ თბილისი, ერეკლე II მოედანი, №1, წარმოდგენილი *[●]*, მიერ, პ/ნ *[●]*,

ვდებთ უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ წინამდებარე ხელშეკრულებას (შემდგომში - „ხელშეკრულება“).

მუხლი 1. პრივატიზების საგანი

ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებითა და ვადებში, სააგენტო საპრივატიზებო პირობით საკუთრებაში გადასცემს ქონების შემძენს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებას (შემდგომში - „პრივატიზების საგანი“): ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში არსებულ 1089 კვ.მ მიწის ნაკვეთს (საკადასტრო კოდი: 01.17.02.059.292). პრივატიზების საგნის მახასიათებლები განსაზღვრულია სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს (შემდგომში - „საჯარო რეესტრი“) ამონაწერით: განცხადების რეგისტრაციის ნომერი: №[●]; მომზადების თარიღი [●].

მუხლი 2. საპრივატიზებო საფასური და მისი გადახდის წესი

2.1. პრივატიზების საგნის საპრივატიზებო საფასურად განისაზღვრა სიმბოლური ფასი - 1 (ერთი) ლარი.

2.2. საპრივატიზებო საფასურის გადახდა უნდა განხორციელდეს ამ ხელშეკრულების გაფორმებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში.

2.3. საპრივატიზებო საფასურის გადახდა უნდა განხორციელდეს შემდეგ საბანკო ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის გზით:

მიმღები: სახელმწიფო ხაზინა TRESGE22
ანგარიშის ნომერი: 200122900
სახაზინო კოდი: 300773390
დანიშნულება: არასასოფლო-სამეურნეო მიწების გაყიდვა

მუხლი 3. საპრივატიზებო პირობები:

ქონების შემძენისთვის საკუთრებაში გადაცემულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: 01.17.02.059.292) ეკლესიის მშენებლობა.

მუხლი 4. პირგასამტეხლო

4.1. საპრივატიზებო საფასურის გადაუხდელობის შემთხვევაში ქონების შემძენს ეკისრება პირგასამტეხლო (საურავი) გადაუხდელი თანხის 0,1% დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, მაგრამ არანაკლებ 5 (ხუთი) ლარისა.

4.2. პირგასამტეხლოს გადახდა უნდა განხორციელდეს თანხის შემდეგ ანგარიშზე ჩარიცხვის გზით:

მიმღები სახელმწიფო ხაზინა: TRESGE22

ანგარიშის ნომერი: 200122900

სახაზინოკოდი: 300773287

(შემოსავალი ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოდან).

4.3.ხელშეკრულებით ნაკისრი სხვა სახელშეკრულებო პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში მყიდველი იღებს წერილობით გაფრთხილებას, რომელშიც მიეთითება დარღვევის გამოსწორების ვადა და ეკისრება პირგასამტეხლო 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით, დარღვევის გამოსწორებისთვის მიცემული ვადის უშედეგოდ გასვლის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

4.4.ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს გადახდა, ქონების შემძენს არ ათავისუფლებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

4.5.ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების განმეორებით შეუსრულებლობა და დაწესებულ ვადაში პირგასამტეხლოს გადაუხდელობა სააგენტოს მიერ განიხილება ხელშეკრულების ცალმხრივად მოშლის საფუძვლად.

მუხლი 5. პრივატიზების საგანზე საკუთრების უფლების გადაცემა

პრივატიზების საგანი ქონების შემძენს საკუთრებაში გადაეცემა საპრივატიზებო საფასურის მთლიანად გადახდის, საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის გაცემის და საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრაციის შემდეგ.

მუხლი 6. მხარეთა განცხადებები და ვალდებულებები

6.1. სააგენტო აცხადებს, რომ პრივატიზების საგანი ხელშეკრულების დადების მომენტისთვის რეგისტრირებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებად. იგი არ არის იპოთეკით დატვირთული და დაყადაღებული, რაც დასტურდება საჯარო რეესტრის ამონაწერით.

6.2. ხელშეკრულების მხარეები აცხადებენ, რომ პრივატიზების საგნის ხარისხი შეთანხმებულია მათ შორის.

6.3. სააგენტო იღებს ვალდებულებას: ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული საპრივატიზებო საფასურის სრულად გადახდის დადასტურების შემდგომ, ნასყიდობის საგანზე მყიდველს დაუდასტუროს საკუთრების უფლება, შესაბამისი საკუთრების მოწმობის გაცემის გზით.

6.4. ქონების შემძენი ვალდებულია:

6.4.1. პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებული ქონების შემდგომი გამოყენებისას დაიცვას ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და საპრივატიზებო პირობები.

6.4.2. ვალდებულებების შესრულების პერიოდში სააგენტოს მოთხოვნის საფუძველზე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფორმითა და წესით წარუდგინოს ინფორმაცია პირობებისა და ვალდებულებების შესრულების თაობაზე.

6.4.3. შეძენილ ქონებაზე ნასყიდობის ფასის სრულად გადახდისა ან/და ვალდებულებების შესრულების დადასტურებამდე ქონების შემძენს უფლება არა აქვს, სააგენტოს თანხმობის გარეშე განკარგოს, გასცეს სარგებლობაში ან სხვაგვარად დატვირთოს გადაცემული ქონება. ამასთან, ქონების შემძენი პასუხისმგებელია გადაცემული ქონების მოვლა-პატრონობასა და დაცვაზე.

6.4.4. ქონების შემძენს უფლება არ აქვს საპრივატიზებო ვალდებულებების/პირობების შესრულების მიზნით იპოთეკით ან გირავნობით დატვირთოს შეძენილი ქონება სააგენტოს თანხმობის გარეშე.

6.4.5. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში (ვალდებულებათა შესრულების პერიოდში) ქონების შემძენის მიერ პრივატიზებული ქონების გასხვისების შემთხვევაში, ქონების შემძენი ვალდებულია ქონება ახალ მესაკუთრეზე გაასხვისოს იმავე პირობებით, რაც გათვალისწინებული იყო ნასყიდობის ხელშეკრულებით.

6.4.6. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები შესრულებულად ითვლება სააგენტოს მიერ მათი დადასტურების მომენტიდან.

მუხლი 7. სხვა პირობები

7.1. ამ ხელშეკრულების თითოეული გვერდი საჭიროებს მხარეთა ხელმოწერას.

7.2. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილება ან დამატება შეიძლება მხარეთა შეთანხმებით, ცალკე ხელშეკრულების გაფორმებით და ექვემდებარება საჯარო რეესტრში რეგისტრაციას.

7.3. ხელშეკრულება შედგენილია 3 (სამი) თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, ქართულ ენაზე. ერთი ეგზემპლარი წარედგინება საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სარეგისტრაციო სამსახურს (მარეგისტრირებელ ორგანოს), თითო ეგზემპლარი გადაეცემა მხარეებს.

7.4. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის მომენტიდან.

7.5. მხარეთა შორის დავის არსებობის შემთხვევაში, საკითხი განიხილება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სსიპ - ქონების მართვის სააგენტო

_____

[სახელი, გვარი]

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია

_____

[სახელი, გვარი]